

**ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი**  
**განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**  
**ზოგადი დისციპლინების დეპარტამენტი**

<b>პროგრამის სახელწოდება</b>	<b>კულტურული ტურიზმის გიდი</b>
<b>სტრუქტურული ერთეული</b>	უწყვეტი განათლების ცენტრი
<b>კოდი</b>	CHF7
<b>პროგრამის მოცულობა ECTS</b>	30 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ.
<b>სწავლების ენა</b>	ქართული
<b>სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა</b>	ერმილე მესხია - პროფესორი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი. მობ. 593 32 57 96. ელ ფოსტა: <a href="mailto:ermile_mesxia@mail.ru">ermile_mesxia@mail.ru</a> სპეციალისტის მომზადების პროგრამის რეალიზაცია უზრუნველყოფილი იქნება ხელოვნების უნივერსიტეტის, ბათუმის ტურისტული დაწესებულებების მაღალკვალიფიციური კადრებით. სწავლების პროცესში ჩართული იქნებიან ქ. თბილისიდან და უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები.
<b>პროგრამის მიზანი</b>	პროგრამის მიზანია მსმენელმა მიიღოს კვალიფიციური ცოდნა კულტურული ტურიზმის გიდის საქმეში. შეისწავლოს კულტურული ტურიზმის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, მისი როლი და ადგილი საზოგადოებაში. დაეუფლოს კულტურული ტურიზმის გიდის პროფესიის სპეციფიკას. პროგრამის მიზანია გიდებმა შეძლონ საექსკურსიო ტექსტის მომზადება და პროფესიული საქმიანობის სფეროში ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და შენახვა; მომსახურების სტანდარტის უზრუნველყოფა; რუკის დახმარებით ქვეყნის გაცნობა; ექსკურსიის ჩატარება; ტრანსპორტის, კვების დამისთვის ორგანიზება; ტურის მსვლელობის ხარისხის კონტროლი; ტურის მიმდინარეობის შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება; უსაფრთხოების წესების, ჰიგიენისა და ეთიკის ნორმების დაცვა; ქართულ და სხვა უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. კულტურული ტურიზმის გიდის საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უცხოეთისა და საქართველოს ტურიზმის კვალიფიციურ სპეციალისტთა მიერ მომზადებული სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. პროგრამის დისციპლინები შერჩეულია იმ პრონციპით, რომ მსმენელმა სრული ინფორმაცია და ელემენტარული ცოდნა მიიღოს კულტურული ტურიზმის გიდის სპეციალობაში. პროგრამის ათვისების პროცესში გათვალისწინებულია პრაქტიკა ტურისტულ დაწესებულებებში და სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსია ტურისტულ მარშრუტზე. მსმენელი ვალდებულია პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი აითვისოს, თეორიული კურსის დასრულების შემდეგ გაიაროს ტესტირება და პრაქტიკა.
<b>დაშვების წინაპირობა</b>	სრული ზოგადი განათლება
<b>ცოდნის შეფასების სისტემა</b>	მსმენელი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა). სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“). სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან: დადებითი შეფასება: (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

	<p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მსმენელის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. მსმენელი“ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე: ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე; ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე. ● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ● შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.</p>
<b>სწავლებისა და სწავლის მეთოდები</b>	<p>ევრისტიკული მეთოდი; ახსნა–განმარტებითი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; - პრაქტიკული მეთოდები; დისკუსია/დებატები; ჯგუფური მუშაობა; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პრეზენტაცია; სტუდენტთა აქტივობები: ლექციაზე დასწრება, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობა; პრეზენტაციის მომზადება; დამოუკიდებელი მეცადინეობა; პრაქტიკა; წყაროზე და ტექსტებზე დამოუკიდებელი მუშაობა; ინტერნეტ-რესურსების დამოუკიდებლად მოძიება; გამოცდების მომზადება-ჩაბარება; ● სალექციო და ჯგუფში მუშაობის საათების განაწილება მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში.</p>
<b>ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა</b>	სასწავლო კურსის გავლა შეიძლება ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად.
<b>სწავლის საფასური</b>	სწავლის საფასური განისაზღვრება საათის ღირებულების მიხედვით. 1 აკადემიური საათი 15 ლარი. ჯგუფთან ერთად კურსის გავლის შემთხვევაში 1 აკადემიური საათის ღირებულება შეიძლება განისაზღვროს დადგენილ ნორმაზე ნაკლები ოდენობით.
<b>კურსის გავლის დამადასტურებელი მოწმობა</b>	<b>სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი</b>

### სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტი	საათების რაოდენობა		
			სულ	საკონტ.	დამოუკ.
CHF7c-1	ექსკურსიათმცოდნეობა	5	125	50	75
CHF7c-2	კულტურული ტურიზმი	2	50	20	30
CHF7c-3	მხარეთმცოდნეობა	3	75	30	45
CHF7c-4	ხელოვნების ისტორია	3	75	30	45
CHF7c-5	აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები	3	75	30	45
CHF7c-6	მეტყველების კულტურა	3	75	30	45
CHF7c-7	IT ტექნოლოგიები	1	50	20	30
CHF7c-8	სპეც. უცხო ენა	5	125	50	75
CHF7c-9	პრაქტიკა	5	125	50	75
<b>სულ</b>		<b>30</b>	<b>750</b>	<b>300</b>	<b>450</b>